

ლიცენზირებული საშუალო



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ დამატება
№6, 27 ივნისი, ორშაბათი, 2022 წელი

 ე რ თ ი ლ ე ქ ს ი

ტრიოლეტები

* * *

შენს დაღმართს ასცდა ჩემი აღმართი,
და გზასაყარზე დიდხანს შემოვრჩით...
ჩვენ დავივინყეთ ეშმა და ღმერთი!
შენს დაღმართს ასცდა ჩემი აღმართი...
თავდავინყების ტკბობა დაგმართე,
იყავ სნეული ჩემი სინორჩით...
შენს დაღმართს ასცდა ჩემი დაღმართი
და გზასაყარზე დიდხანს შემოვრჩით...

* * *

მთელი კვირაა, ფიქრი თარეშობს,
მთელი კვირაა, რაღაც მანვალებს,
ჩემს მრავალკუთხა სიმნუხარეში
მთელი კვირაა, ფიქრი თარეშობს...
და იშვა ფრაზა ფიქრის გარეშე, –
სამშობლო – ავი დედინაცვალი...
მთელი კვირაა, ფიქრი თარეშობს,
მთელი კვირაა, რაღაც მანვალებს...

* * *

დღეს შთაგონებამ ველარ დამატრო,
ეს ლექსი ჭიქა ღვინის მადლია...
ვარ მოთამაშე მე, უკამათლო...
დღეს შთაგონებამ ველარ დამატრო...
გაცვეთილ იმედს ტანით დავატრევე,
ჩემს შვებას ერთი ცრემლი აკლია.
დღეს შთაგონებამ ველარ დამატრო,
ეს ლექსი ჭიქა ღვინის მადლია...

ნაცო ღონაყაშვილი



ღ ე ბ ი უ ც ი



მარიამ გელაშვილი ხაშურის I საჯარო სკოლის XI კლასის წარჩინებული მოსწავლეა. იტაცებს ლიტერატურა, ფსიქოლოგია, რომელიც მისი რჩეული მომავალი პროფესიაა, მწერლობასთან ერთად.

წინამდებარე მოთხრობა ი. გოგებ-აშვილის პედაგოგთა კავშირის მიერ მოწყობილი კონკურსის „ახალგაზრდა ივერიელი“ გამარჯვებულია.

მეგობარი მოვარე

„ნეტავ როდის გავიზრდები, რომ შევძლო, ჩემი მეზობლის (რომელსაც წყალიც კი არ წაიღებს), თხის რძე მოვიპარო დედისთვის“ – ამბობდა რვა წლის, თავის ასაკთან შედარებით მაღალი, შავთმიანი გოგო, მართა, რომელიც უკვე დატვირთული იყო არც თუ ისე იოლი საქმეებით. მართა სკოლაში ჯერ არ შესულა, ამისთვის მას დრო არ ჰქონდა. მამა დიდი ხნის წინ წავიდა, მას შემდეგ მისი კვალაც არ უნახავთ მიტოვებული ოჯახის დაღლილი ცრემლებით დამბალ, ხანაც მათი გულბრუნვით დაბზარულ, გაქვავებულ მიწაზე. მამის გაუჩინარების შემდეგ დედა ზრუნავდა ერთადერთ გოგონაზე. ორი წლის შემდეგ იგი სენმა შეიპყრო, ლოგინად ჩავარდა და ოჯახის მოვლა ექვსი წლის მართას დაევალა.

პატარა გოგო – მტკიცე ხასიათით, ძლიერი ნებისყოფით სამაგალითო შვილია. შეძლებისდაგვარად უვლის დედას. ხომ გინახავთ რვა წლის ბავშვის რბილი, ფაფუკი, სრიალა ხელები... საბრალო მართას კი ხელებზე ყოველთვის წყლულები აჩნდა მუდმივი შრომით. ეკლებითაც ჰქონდა ხშირად სავსე, მოცვის საკრეფად ოტიასთან ერთად წასულს. ჰო, მართლა, ოტო (ასე მიმართავს მას მართა) გოგონას ერთადერთი მეგობარია. ანონილი, გამხდარი. ლურჯი თვალები უმშვენებს პატარა სახეს. ოტო მართაზე ორი წლით უფროსია, მასზე ისე ზრუნავს, როგორც საკუთარ დაზე. ოტოს არავინ ჰყავს. დედა და მამა დაეხოცა, ბებოსთან გადავიდა, მაგრამ საბრალოს ერთადერთი პატრონიც მალე გარდაეცვალა. დარჩა მარტო ამ, საშიშ, ბოროტებით აღსავსე სამყაროში. შემდეგ მართა გაიცნო, დამეგობრდნენ. მხოლოდ ერთმანეთი ჰყავთ ამ, ორ, ბედისგან დაჩაგრულ ბავშვს. მუდამ ერთად დადიან ოტო და მართა. მათ არაფრის ეშინიათ. არც წვიმა აშინებთ, არც ჭექა-ქუხილი, არც თოვლი და ყინვა. ერთად დადიან ტყეშიც. მგელიც კი ჰყავთ მოკლული. დიახ, მგელი! ერთხელ მშვიერი შემოხვდათ ოტოს და მართას. რა იცოდა მგელმა, მასზე უფრო მშვიერ არსებებს თუ გადაეყრებოდა. მართამ ჯოხი მოუქნია, ოტიამ დრო იხელთა და თავისი პატარა დანით, რომელიც ყასაბ ნიკოს მოჰპარა და სულ თან დაჰქონდა, მუცელი გაუფატრა მგელს. კიდეც არაერთი თავგადასავალი ჰქონდათ პატარა მძებრებს, – როგორც დურგალმა კოტემ შეარქვა.

ოტოს ერთი უცნაური თვისება აქვს – გამურული დადის. ალბათ გაგიკვირდებათ, თუ რატომ? მურს სახეზე თვითონ ისვამს. როგორც თავად ამბობს, ეს მას ზრდასრულ მამაკაცად გამოაჩენს და უფრო ძლიერი იქნება. მას შემდეგ გადაწყვიტა ასე, როცა ქუჩაში მეტუხრე კობას გადაეყარა, რომელიც უზარმაზარ ხეს მოათრევდა ბუხრის დასაბერტყად. ოტოს ეს საქციელი მართასაც მოეწონა და იმისათვის, რომ თავადაც დიდი ქალი გამოჩენილიყო, მანაც, თავის განუყოფელ მეგობართან ერთად, გამურულმა დაიწყო სიარული.

ზაფხული ოტიასა და მართასთვის განსაკუთრებულია. მწველი მზე, ბულით ავსებული ქუჩები, სადაც სიხარულით მიაბიჯებენ, მტვერს ღიმილით ყლაპავენ და, ზაფხულის დასაწყისში, უკვე გაშავებულები, სიამოვნებით უშვერენ მცხუნვარე მზეს ჩხირის სისხო მკლავებს და ფეხებს. დილით ადრინად მდინარეზე გარბიან. ხანდახან, თუ გაუმართლათ, თევზსაც დაიჭერენ ხოლმე. ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ ბავშვები პირით თევზაობენ. ეს ოტოს გამოგონებაა, ამაში განაფულია. სუნთქვას შეიკავებს, დიდ თვალს ფართოდ გაახელს, ჩაყვინთავს და კბილებით დაჭერილი თევზით ამოყვინთავს. მართამაც იგივე მოინდომა, მაგრამ ოტომ დატუქსა და ასე მოქცევა აუკრძალა, რადგან ერთხელ ჩაყვინთვის დროს თევზს კი არა, ოტოს ფეხს ჩაავლო თურმე მართამ კბილები. ბიჭის ღრიალმა იქაურობა გააყრუა.

შუადღისას, როცა მზე გაუსაძლისად მწველი ხდება, მართასა და ოტიასაც უკბენს ხოლმე და მიახვედრებს, რომ შინ წასვლის დროა. ისინი კი მდინარიდან ნიკოს ვაშლის ბაღში გადაინაცვლებენ, დაღლილები და მოშიებულები. გემრიელ, წვნიან ნაყოფს ეშურებიან, სანამ მუცელი არ ასტიკვდებათ ან ნიკო არ გამოუფარდებათ თავისი საუკუნის თოფით, რომელსაც ჟანგი ჭამს და ვერ გაისვრის, მაგრამ ბავშვებს მაინც ეშინიათ და თავქუდმოგლეჯილი გარბიან.

ერთხელ მართას გარეშე წავიდა ოტო კლდეების დასაპყრობად (ეს მათი საყვარელი საქმე იყო). მათ სოფელში მხოლოდ ერთი, დაბერებული, ბევრი ჭირის თუ ლხინის მონმე კლდეა, რომელიც ეულად დგას ხეებში ჩამალული, თითქოს ვილაცას, ან რადაცას გაურბის, ემალება. ალბათ, იმ ვერაგ ადამიანს, რომელმაც გუშინ კლდის მეგობარი, მის თავზე მდგომი ბებერი ხე, რომელიც ერთი ღერი თმასავით იდგა დარაჯად, შეუბრალებლად მოჭრა. ამ მგლოვიარე კლდეზე ასვლას აპირებდა ოტო. კლდესთან რომ მივიდა, ქვემოდან ახედა, მერე შარვალი აიკაპინა, ქამარში დანა გაიჩქო და საქმეს შეუდგა. პირველი ნაბიჯი დადგა დაბერებულ და დარდით გადაღლილ კლდის ნაოჭზე, მერე გვერდზე გადაიხარა, კლდის პატარა შვილიკოს ჩაეჭიდა და საკმაოდ მაღლა აღმოჩნდა. უკვე წვეროს უახლოვდებოდა, უეცრად ცამ ტირილი დაიწყო. ალბათ, კლდესთან ერთად გლოვობდა იმ ხეს, რომელსაც წლები მეთვალყურეობდა, ათობდა, ზამთარში თოვლით რთავდა. ახლა გულდანყვებილი დასტიროდა. კლდე დასველდა, სრიალა გახდა. ოტოს გაუჭირდა, ჩამოსვლა დააპირა. უეცრად, თითქოს ხელი ჰქრა, ოტო კლდეს მოსწყდა, მაგრამ მოასწრო და ცალი ხელით ჩაეჭიდა, ძალა მოიკრიბა, მაგრამ თითქოს განგებ, წვიმამ უმატა, თითქოს ოტოზე უნდა იყაროს ჯავრი, იმ კაცის ნაცვლად. ოტო ველარ უძლებს, ხელი ეშვება... ნამში მიწაზე აღმოჩნდა, რომელიც გაჟღენთილია ადამიანების ცოდვებით...

ახლა ოტოს სულიც მინის კუთვნილება გახდა, სხეული კი უსულოდ წევს, წვიმის წვეთები მის სხეულზე ცეკვავენ. ოტოს სიკვდილი ქურდობას ჰგავს. მისი უმანკო, მუდმივად სიხარულით სავსე სული სიკვდილმა წაიღო, ზეცაში აიტანა და იქ ადგილი მიუჩინა.

მეორე დილით მართა უთენია წამოდგა ლოგინიდან, თვალები მოიფშენიდა და ახლადგაღვიძებული, ოდნავ ხრინწიანი ხმით დედას ჰკითხა: ოტო სად არისო. დედამ ხმა არ გასცა, სანოლთან დასვა და შუბლზე აკოცა. მართას გაუკვირდა, პასუხი რომ ვერ მიიღო. მალევე წამოდგა, ჩაიცვა, გარეთ გავიდა და, უცებ, ჭიშკართან ნიკო შენიშნა, დამწუხრებული. გახუნებული ქუდი ხელში ეჭირა და დასცქეროდა მიწას. მართა შეეკითხა – ოტო ხომ არ შეგხვედრიათო. ვერ გაბედა ნიკომ ხმის ამოღება, თვალები ცრემლებით აევსო, უზარმაზარი ნერწყვი გადაეყლაპა, ამოიოხრა, მართა თავისი დიდი ხელებით ახლოს მოსწია და თავზე ხელი გადაუხვია:

– დილით მონადირეებმა ოტო კლდესთან იპოვეს!

ნიკო გაჩერდა, სულ გაფითრდა. მართას მეტი აღარ მოუცდია, ჭიშკრიდან გავიდა, ნელა გაუყვა ბილიკს. თანდათან უმატებდა ნაბიჯებს, ცრემლები სცვიოდა. ტყეს რომ მიუახლოვდა, გაიქცა, თითქოს გზაც გაიწვია. მართასაც გული უმძიმდება. კლდეზე მიაღწია ფეხების კანკალით. დაინახა, როგორ მიაყარა ნიჩბით შემზარავმა კაცმა მინა ოტიას საფლავს. მერე დიდი ქვა დადო ზედ და წავიდა. მართა ახლოს მივიდა. იქვე ოტოს დანა დაინახა, აიღო და ჩაიკეცა. ქვას თბილი ლოყა დაადო და ხმამაღლა აქვითინდა. გულამოსკვნილი ტიროდა. თავისი მეგზური, მეგობარი, ძმა დაკარგა. მართას გულში ქაოსია, ყელში რაღაც აწვება, გასაქანს არ აძლევს, ახრჩობს...

სალამოს, როცა მთვარე ამოსვლას ცდილობდა, მართამ ოტიას დანას ხელი მაგრად ჩასჭიდა და შინისაკენ გაუყვა გზას. დედა გაახსენდა და შეეცოდა, ინერვიულებსო. მიდიოდა და მთვარეც მიჰყვებოდა. თავისი მკრთალი შუქით არემარეს უნათებდა. ხანდახან მართასაც მოუთათუნებდა სახეზე თავის სინათლეს, თითქოს უნდოდა, რომ მისთვის ცრემლი მოეწმინდა. მართა მთვარეს მიაშტერდა. თითქოს გაუღიმა მთვარემ. გაოცებულმა გოგონამ შეამჩნია, უფრო ახლოს იყო ამ იდუმალ ბურთთან და ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

– ოტო, შენ ხარ?

მთვარემ თანხმობის ნიშნად პანანინა ვარსკვლავი ჩამოაგდო და ისევ თბილად გაუღიმა გოგონას.

მართა მიხვდა, რომ ოტო ახლა მთვარედ ქცეულიყო და სახლამდე მიაცილებდა მეგობარს...

დაქანცულმა მართამ დედას აკოცა და ლოგინში ჩაწვა.

ოტო მთელი ღამე მართასთან არის... ფანჯრიდან უცქერს, ხანდახან სახეზე დახედავს თავისი შუქით, ნახავს, მშვიდად სძინავს თუ არა მის მეგობარს. გამთენიისას ერთხელ კიდეც დახედავს, აკოცებს და დაემშვიდობება. მართაც ხელს დაუქნევს და მოუთმენლად დაელოდება დაღამებას...

მ თ თ ხ რ ი ბ ა



ნუცა ჩიტაძის ბავშვური გულწრფელობით აღსავსე ლექსებს ამ რამდენიმე წლის წინ გაეცნო „ლიტერატურული ხაზის“ მკითხველი. ამ ხნის მანძილზე ნუცას შემოქმედება უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა, როგორც პოეზიაში, ასევე, პროზაში.

იდუმალი მოძღვარი

შემთხვევითობა ბევრ რამეს ცვლის. ზოგჯერ რთულია განსაზღვრო სწორი დრო და ადგილი,

შესაფერისი მოქმედება, ემოციის სიმძაფრე... მაგრამ როცა გადანწყვეტილება შენს ხელშია, პასუხისმგებლობაც იზრდება. შენი ნებაა თუ გძულს, თუ გიყვარს, თვითონ წყვეტ, რა უნდა თქვა, გააჩნია, როგორი გემოვნება გაქვს, უფრო მეტად სიტკბოსკენ იხრები თუ არც მწარე კერძებზე ამბობ უარს. ყოველ შემთხვევაში, არავის შეუძლია მუდამ დაიცვას ბალანსი, ყოველთვის გაათანაბროს სასწორი. ამიტომ არასდროს არის გვიანი უარი თქვა შენს ნაკლოვანებებზე, იმის ცდა, რომ ყოველ დღე უკეთესობისაკენ ილტვოდე, აუცილებლად ტკბილ ნაყოფს გამოისხამს.

ზოგისთვის კეთილშობილება ღმერთთან მიმსგავსებას ნიშნავს. თუ გსურს, ბედნიერება მიანიჭო სხვას, არ არის აუცილებელი რაიმე გრანდიოზულის მოფიქრება. განა დედისთვის მირთმეული კესანები მისთვის ფირუზისთვისებთან სამკაულზე ძვირფასი არ არის? ან პატარა, მიუსაფარი ანგელოზებისთვის გამეტებული, თუნდაც, ერთი პური ცხელი კერძის ფასია მათთვის. არანაკლებ ძვირფასია ისეთი სიტყვის გამეტება, რომელიც სხვის ნაიარევს ხშირად საღებუნად ედება.

ამ ფასეულობებით ცხოვრობდა ერთი მოძღვარი. შესახედაობით უბრალო, შავი ანაფორით შემოსილი, როგორც ყველა. თეთრი წვერი, ღია ფერის თვალები მეტად სათნო გამომეტყველებას აძლევდა. რომ შეხედავდი, ღრუბლიდან გადმომცქერალ მოხუცს ჰგავდა. დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე ქალაქის უბნებში. ბევრს არ საუბრობდა, ამიტომაც არავინ იცოდა, სად ცხოვრობდა, ჰყავდა თუ არა ოჯახი, ან ახლობლები. როცა ხალხში გაერეოდა, უცნაური მადლმოსილებით იქცევდა ყურადღებას, მაგრამ ეს გრძნობა ყველას სულამდე როდი აღწევდა.

მოძღვარს მხოლოდ ერთი ჩანთა და ერთი ქუდი გააჩნდა. ზოგჯერ რამდენიმე პურს ყიდულობდა. სადაც მოწყალეების მთხოვნელს შენიშნავდა, პურით უმასპინძლებოდა. სადაც უნდა შესულიყო – მაღაზიაში, მინისქვეშა გადასასვლელში ან გაჩერებაზე, ყველგან ჯვარს სახავდა. ამაში განსაკუთრებული არაფერია, ყველა მოძღვარი ლოცავს ხალხს, მაგრამ მას ერთი შესამჩნევი ჩვევა ჰქონდა. ფარულად, სხვებისგან უხილავად, სხვადასხვა ნივთებს ტოვებდა, ნავიდოდა და არასდროს აკითხავდა ნასაღებად.

სწორედ ასე აღმოჩნდა ერთ-ერთ საცხოვრებელ სკამზე დატოვებული ღვთისმშობლის ხატი. სულ პანანინა გამოსახულება უფლის დედისა მოულოდნელად აბრჭყვიალდა მზის სხივზე. ეს შეამჩნია მეპურემ და ინტერესით მიეახლა, მაშინვე თანამშრომელს აჩვენა, რომელმაც გაიხსენა ცოტა ხნის წინ საცხოვრებელში შემოსული მოძღვარი, რომელმაც ორი პური იყიდა და შესასვენებლად იმ სკამზე ჩამოჯდა. მოულოდნელად ყური მოჰკრა მეპურის ტელეფონზე საუბარს. მოძღვარი მიხვდა, რომ მის ოჯახს უჭირდა. არ იცოდნენ, შეძლებდნენ თუ არა ბავშვებისთვის სადილის მომზადებას. მეპურე მეუღლეს ეუბნებოდა:

– საცხოვრებელ სკამზე ცუდად მიდის, მგონი დახურვა მოგვიწევსო. მოძღვარმა ჩანთა გახსნა და რაღაცას დაუნყო ძებნა. ცოტა ხანში გამოიღვედი დალოცა და იქაურობას გაეცალა. საქმეში გართულმა მცხოვრებელმა მოგვიანებით შენიშნა ხატი და როცა თანამშრომელს აჩვენა, მან ურჩია სახლში წაებრძანებინა.

მეპურე დადარდინებული მიაბიჯებდა სახლისკენ. ორი პატარა ელოდა მამას, მაგრამ მან არ იცოდა, რითი გაეხარებინა ბავშვები, რითი ემოვნა მათთვის საზრდო. როცა სადარბაზოს მიუახლოვდა, ჯიბეში გასაღებისთვის ჩაიყო ხელი, მის ნაცვლად ხატი შერჩა. მშობლიური ღიმილით უცქერდა ღვთისმშობელი, უჩვეულო ნუგეშისცემა მოდიოდა მისგან. კაცი აკვირდებოდა მის მკლავებში ყრმა იესოს. უნდოდა შევედრებოდა დასახმარებლად, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა, მხოლოდ გულში აღმოხდა – ღვთისმშობელო, შენც ხომ დედა ხარ, შვილებს ულუკმა-პუროდ ნუ დამიტოვებო. ის ის იყო, სახლის კარს მიაღდა, გააღო და მდუმარედ შევიდა, ბავშვები ჟრიაბულით შემოეხვივნენ, – მამა, შენთვის დედამ სიურპრიზი მოამზადაო, – სამზარეულოში შეუძღვნენ გაკვირვებულ კაცს. გაოცებისგან გაშეშდა: მეუღლეს, რომელიც დილით გულნატკენი ესაუბრებოდა ტელეფონით, საოცარი სუფრა გაეწყო. ქმარი მიიწვია და ყველაფერი უამბო, როგორ დაეხმარნენ მოულოდნელად მოსული ახალგაზრდები მის ოჯახს, რომლებიც ქველმოქმედებას ეწეოდნენ. ბავშვებმა პარკი მიაჩერეს მამას, – სათამაშოებიც მოგვიტანესო. მის გასაკვირად, პარკს სწორედ ისეთი ღვთისმშობელი ეხატა, როგორც მოძღვარმა საცხოვრებელ დატოვა... ამის შემდეგ უკეთესად წავიდა საქმე, ოჯახი დიდი მადლიერებით ადიდებდა ღმერთს.

ცოტა დრო გავიდა და მოძღვარი კვლავ გამოჩნდა ქუჩებში, თავისი იდუმალებით. საღამოს წვიმა წამოვიდა. მოძღვარს ტაძრამდე მისვლა უნდოდა და ამიტომ

ტაქსი გააჩერა, მანქანის კარი გააღო ისე, რომ მძღოლმა ვერც შენიშნა, ვინ ჯდებოდა. მობილურზე საუბრობდა, ბილნსიტყვაობდა, ეტყობოდა, კამათობდა, თან სიგარეტს ეწეოდა. როცა მგზავრი მანქანაში ჩაჯდა, მძღოლმა ტელეფონი გაბრაზებით გათიშა. მოძღვარი რომ შეამჩნია, სიგარეტი მოისროლა და მანქანის მინა ნახევრად ჩამოსწია, დალოცვა სთხოვა და ჰკითხა, სად წაყვანა. მოძღვარმა მანქანაში დაბრძანებულ პატარა ხატებს შეავლო თვალი, მძღოლმა არ იცოდა, რა თემაზე დალაპარაკებოდა.

– მამაო, გართულდა არა, ცხოვრება? ჩვენ ვწვალვით, თითო თეთრს ვაგროვებთ, ძლივს გაგვაქვს თავი და თქვენ როგორ არსებობთ? როგორ გყოფნით მხოლოდ შემონირულობა?

მოძღვარი ცოტა ხანს დუმდა.

– მე ღმერთს ვყავარ შეკედლებული...ის კვებავს ჩიტებს, ცხოველებს, ჭიანჭველებს და ჭიამაიებს, – მოკლე წინადადებებით პასუხობდა მძღოლს. ის კი თავს აქეთ-იქით აქნევდა. თამბაქოს კვამლი ჯერ კიდევ არ განელებულიყო.

– იქ სიმშვიდეა, მადლია, იქ კეთილსურნელებაა, იქ ღმერთია. – დაბალი ხმით საუბრობდა მოძღვარი. მძღოლმა იფიქრა, მინას კიდევ ჩავწევო, მაგრამ წვიმა ისევ გახშირდა. ჰკითხა – სად გავჩეროო. მგზავრმა მიუთითა ადგილი, დაორთქლილ მინაზე წვიმის წვეთები სრიალებდნენ. მოძღვარმა შეუმჩნეველად გამოსახა ჯვარი. გამიჩერეო, – უთხრა და თანხა გაუნოდა.

– სიმშვიდე აქაც არის, ხსნა და კეთილსურნელებაც არის აქ, ღმერთმა დაგლოცოს, – უთხრა მოძღვარმა და მანქანიდან გადავიდა.

მძღოლმა მადლობის თქმაც ვერ მოასწრო, მუჭი გახსნა და გაუკვირდა, მოძღვარს თანხასთან ერთად, ქალაქში გახვეული რაღაც ჩაედო. გახსნა, – რამდენიმე ცალი საკმეველი დაინახა, საოცარ სურნელებას აფრქვევდა. მძღოლმა არ იცოდა, როგორ გამოეყენებინა და იფიქრა, მოგვიანებით ვიკითხავო. გზა განაგრძო, თან მოძღვრის სიტყვებზე ფიქრობდა. ცოტა ხანში ნაწიმიარ გზაზე მანქანა მოუტყურდა. საჭეს ვერ იმორჩილებდა! თვალები გაუფართოვდა. მხოლოდ ერთი შესძახა: „ღმერთო!“ და ლამპიონის ბოძს შეეჯახა. სუნთქვაგახშირებული და აცახცახებული გადმოხტა მანქანიდან, რომელსაც წინა ნაწილი ჰქონდა დაზიანებული. ხალხი შეიკრიბა ირგვლივ. უკვირდათ, რომ მძღოლი უვნებელი გადარჩა.

იმ საღამოს სახლში მისულმა ჯიბეში ჩადებული საკმეველი აკმია ოთახს. კეთილსურნელება ფანჯრიდან გარეთ იფრქვეოდა. გამვლელ ხალხს შორის ყველაზე მეტად მოძღვარს ეამა იმ სარკმლიდან გადმოღვრილი მადლი. ხელები ზეცისკენ ალაპყრო და განადიდა უფალი, რომლის ცხოვლისმყოფელი ჯვარიც კვლავ იყო გამოსახული დამტვრეული მანქანის მინაზე.

ზაფხული მოიპარა. ადამიანები პარკში სეირნობდნენ. მზე სტაფილოსფერს ასხურებდა ცას. შუადღისას მოძღვარმა გამოიარა, რათა პატარა შადრევნიდან წყურვილი მოეკლა. წყალი მოსვა, ბამბისმაგვარ წვერზე წვეთები აციმციმდა, ზედ ხელი ჩამოისვა. დასასვენებლად იქვე, სკამზე ჩამოჯდა. შეამჩნია, რომ გვერდით ახალგაზრდა ქალი ტიროდა. სახეს ხელებით იფარავდა, ეტყობოდა, მისთვის სულაც არ იყო ნარინჯისფერი დღე. მოძღვარმა გადანწყვიტა მდუმარება დაერღვია და მამა-შვილურად ჰკითხა:

– რამ დაგადარდინა, შვილო? ქალმა გაკვირვებით შეხედა:

– ბოდიში, ვერ შეამჩნიეთ, რადგან შვილის დარდი გულში ლავასავით მიდულს. მძიმე დაავადება დაუდგინეს... ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა, ისევ რთული მდგომარეობა აქვს... ჩემი გოგონა სულ ოთხი წლისაა. არ ვიცი, შევძლებ თუ არა მისი გაზრდა ვიხილო...

აქვითინებულ დედას თანაგრძნობით უცქერდა მოძღვარი, ის კი განაგრძობდა:

– ველარ შევძელი მისი ყურება, ამიტომ აქ გამოვერიდე, ძალიან უყვარს პარკში სეირნობა. როგორ ფიქრობთ, ისევ შეძლებს ლალად თამაშს? მოძღვარმა გაუღიმა, თავზე ხელი დაადო და უთხრა:

– შენ თუ გნამს, შეძლებს.

– მთელი გულით ვთხოვდი ღმერთს, მაგრამ ახლა უკვე აღარ ვიცი... გთხოვთ, ილოცეთ მისთვის. – მიუგო ქალმა და ისევ ხელებში ჩარგო თავი.

მოძღვარმა ჩვევისამებრ რაღაც ამოიღო ჩანთიდან. როცა ქალმა მოიხედა, იგი იქ აღარ დახვდა, მის ადგილას კი პატარა ხის ჯვარი იპოვნა. ზედ მაცხოვრის ჯვარცმა იყო გამოსახული. ცრემლები მოიშორა, სწრაფად წამოდგა და შვილისკენ გაემართა საავადმყოფოში. ჟღალთმიან გოგონას ისევ ეძინა. დედა კულულებზე მოეფერა, შემდეგ ჯვარი ჩამოკიდა და მუდარის თვალებით ბავშვის ფეხით ჩამომჯდარმა, კვლავ მკლავებში ჩამალა სახე. მცირე ხნის შემდეგ ხმა მოესმა:

– დედიკო! დედიკო...

ზაფხული ჯერ არ მიწურულიყო, რომ იმ პარკში გამოჩნდა დედა-შვილი. მარწყვისფერ კაბიანი გოგონა ბუშტს მისდევდა, დედას კი სულში ზეიმი ჰქონდა. ძლიერ სურდა ოდესმე მოძღვრისთვის მადლობა გადაეხადა. ფიქრობდა, იქნებ ისევ აქ შემხვდესო. უცბად ბავშვმა დაიძახა: „დედიკო მტრედები!“ ისიც გაჰყვა და მოულოდნელად მოძღვარი დაინახა, რომელიც მტრედებს აპურებდა. ნაბიჯს მოუმატა. თუმცა, წინ ხალხმა გადაიბრინა, შემდეგ ნაყინის გამყიდველმა და აფრენილ მტრედებს შორის მოძღვარი გაუჩინარდა. მადლიერი ღიმილით განაგრძო დედამ შვილთან ერთად სეირნობა.

სასწაული ხდება მაშინ, როცა გნამს!..

შეიძლება ციდან შენს წინ ვარსკვლავი ჩამოვარდეს და არ დაიჯერო, მაგრამ თუ თითოეული გასული წამიც შენთვის სასწაულია, საჭირო დროს და ადგილას, არავინ იცის, ვის შეიძლება შეხვდე სასწაულის მიღმა!



პ ი ე ზ ი ა

ნუცა ჩიტაძე

სილუეტი

ვესაუბრები შენს სილუეტს და პასუხსაც მცემს...
 რასაც გავანდობ, დაიმარხავს, არასდროს გამცემს.
 როცა ინათებს, მიიღევა, გაფერმკრთალდება,
 მისი უჩუმრად განშორება კვლავ გამართლდება.
 დაისადგურებს, დაგუბდება სიცარიელე,
 შიშით მოცულ ტოტს აკაკუნებს ქარი სარკმელთან,
 ოჰ! ნეტავ გაჩნდეს კიდევ ერთი ბრმა სილუეტი
 და კიდევ ერთხელ მომისმინოს ღამის სათვლემთან...

მამაშვილობა

მამა ის კაცია, ზურგს რომ გაგიმაგრებს,
 შენთვის რკინასავით ინართობა,
 ოფლს რომ მოიწურავს, მის მხრებზე ტვირთებად
 მძიმე ლოდები რომ იწყობა.
 ოჯახის ბურჯი რომ ხელებით უჭირავს
 და არასდროს რომ არ ირყევა,
 შვილებს რომ დარდი და სევდა ესტუმრებათ,
 მისი ბრძოლა მაშინ იწყება.
 უჩუმრად, ვედრებით მამა დაიჩოქებს,
 გაათევს შუალამის სივრცეს,
 უშიშრად იტვირთებს ტკბილ-მწარე სიყვარულს,
 მას რომ მამობად მისცეს.
 მამა ის კაცია, სულს რომ გვაჩუქებს და...
 თმაში რომ თეთრ ჭაღარას მალავს,
 შვილების სუნთქვისთვის ჰაერის დაკრეფვა
 მხოლოდ შეუძლია მამას!


მზის შვილები

„მომავლის სახლის“ მეგობრებს

ჩვენ მზის შვილებს გვინოდებენ და ხელს გამოგვინოდებენ,
 ამაცობენ, რომ გვიცნობენ, ერთგულებას გვინონებენ.
 ჩვენ სითბოს ექმნით და თქვენ გიძღვნით, განსაცდელში ერთად ვიბრძვით,
 გვეხმარებით და ვიმარჯვებთ, მასში ნვლილი თქვენც მიგიძღვით.
 მოუთმენლად გელოდებით ჩვენს მომავლის ზღაპრულ სახლში,
 რადგან ერთი მიზანი გვაქვს – მოვაბნოთ სითბო ხალხში!



ახალი წიგნი



გამომცემლობა "ბონა კაუზამ" გა-
 მოსცა მორიგი ახალი საავტორო წიგნი:
**„სისხლის სამართალწარმოების პროცე-
 სუალური დოკუმენტების ნიმუშების გა-
 ფორმება“**, ავტორი, პროფესორი **მალხაზ
 ლომსაძე**.

424 გვერდიანი წიგნი განკუთ-
 ვნილია სამართალდამცავი ორგანოების
 მუშაკებისათვის, ადვოკატებისათვის,
 პროკურორებისათვის, მოსამართლე-
 ბისათვის, იურიდიული ფორმის თანამშ-
 რომელთათვის, მომავალი იურისტები-
 სათვის. ასევე, სისხლის სამართლის
 პროცესით დაინტერესებულ პირთათვის.

წიგნის შექმნა შესაძლებელია „ბონა კაუზამ“ საფირმო მალაზიაში. (მის:
 თბილისი, თაბუკაშვილის ქ. N12) ასევე, წიგნების მალაზიებში და „ბიბლუსის“
 მალაზიათა ქსელში, საქართველოს მასშტაბით.

*** ახლადდაბადებულ შვილს



დავით ლომიძე

ჩემი სულის ნაწილი ხარ,
 ჩემი გულის ფეთქვა,
 ამ ქვეყანას მოგავლინა
 ანგელოზად ღმერთმა.
 მზის სხივები გინათებენ
 ამ ცხოვრების გზა-კვალს.
 შენებრ წმინდა ანგელოზი,
 ქვეყნად სხვა, მე არ მყავს.
 პრინცესა ხარ კეთილ ზღაპრის,
 აგარიდებ მე ავს,
 შენმა მოსვლამ, პანანინავ,
 დამამსგავსა ნიავს...
 გაიზარდე სამზიანოდ
 ტკბილ ბავშვობის დღეთა,
 ჩემს სიცოცხლეს დაგიტომო და
 ჩემი გულის ფეთქვას...
 შემყვარდი, შვილო, ძლიერ,
 მიყვარს სუნთქვა შენი,
 იდღეგრძელე, იმზიანე,
 გლოცავს მამაშენი.

შენ სიყვარულით მოვევლინე
 ამქვეყნად, მამი,
 ღმერთმა მაჩუქა შენი მზე და
 აგანთო სხივად,
 იშვი პატარა ანგელოზი,
 სახელად ბარბი
 და გახდი ჩემი საფიცარი,
 სახატე წმინდა.
 ორი პრინცესას მიჯნურობა
 მარგუნა ღმერთმა
 მინდა, ღირსებით გავიარო
 კუთვნილი კვალი.
 გავითავსე ამ ცხოვრების
 მე ორი როლი
 და უფლის ნებით მეწოდება
 მამა და ქმარი.
 ტკბილი ყოფილა სიყვარულის
 ნაყოფის გემო
 და მინდა, მუდამ ჩემს ასულზე
 ლექსები ვწერო.

გვირახის ბოლოს
 მოჩანს სინათლე,
 ალბათ ის არის,
 რაც მე მგონია.
 ვერ მოვასწარი
 მონანიება,
 ცოდვებიც უკან
 გამომყოლიან.
 როცა წავრდები
 სამსჯავროს კართან,
 სულ მისხალ-მისხალ
 მომეკითხება.
 ვერ შევინანე
 და ვიცი, ახლა,
 ეს სინანული
 გვიან იქნება...

ვისი დრო არის, ახლა, ღმერთო, ვინ მიგყავს ჩემგან?
 იქნებ წინასწარ გამაფრთხილო, შევძლო ფერება.
 ხვალ, ნაგვიანებს, განშორებით მაგუებ ბედთან,
 გაყინულ სხეულს რა უშველოს მწველმა ცრემლებმა?
 შემომეცალა საგულედან ბავშვობის ფიქრი,
 გუშინ ბავშვი და, ახლა უკვე, ვფიქრობ ზრდასრულად,
 როგორ გაფრინდა სიყმანვილე, როგორც მერანი...
 მიჰქრის და თითქოს სიყმანვილე, ჩემშიც დასრულდა.
 რა ნაადრევად დამაბერა დარდმა და ფიქრმა,
 თმაშიც ჭაღარა ფეხს იკიდებს ასე, თავნება.
 ყველა წავიდა, ვინც მიყვარდა, ვისაც ვუყვარდი
 და ჩემი გულიც სიმარტოვეს ამ ტკივილებს უკვე დანებდა.
 ააფრიალა აფრები და ჩქარი დინებით
 გვიახლოვდება იმ ცხოვრების მიუსავლეთი...
 რაც კი დავწერე, რაც კი მითქვამს, ან უნდა მეთქვა,
 ყველა სტრიქონს და ყველა განცდას მალავს თვალები!